ვებგვერდის კონფიდენციალური პირობები

მიზანი

ა(ა)იპ საქართველოს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ასოციაცია არის წევრობაზე დაფუძნებული არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი და მასში გაწევრიანებულია, საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტებით განსაზღვრული შესაბამისი ნარჩენის ნაკადს დაქვემდებარებული მწარმოებლები (ზეთები/ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობა/საბურავები/ბატარეები და აკუმულატორები).

,,Wasteless" წარმოადგენს ა(ა)იპ საქართველოს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ასოციაციის ბრენდულ სახელწოდებას, რომლის მეშვეობითაც ასოციაცია კომუნიკაციას ახორციელებს მის წევრებთან და ასევე გარეშე პირებთან. წარმოდგენილ ვებგვერდზე: www.wasteless.ge ვიზიტისას უნდა გაეცნოთ ჩვენს კონფიდენციალურობის პოლიტიკას. შესაძლებელია წინამდებარე კონფიდენციალურობის პოლიტიკაში განხორციელდეს ცვლილებებიც და დამატებებიც პერიოდულად, ამიტომაც wasteless მოგიწოდებთ, რომ პერიოდულად გადაამოწმოთ კონფიდენციალურობის პოლიტიკა.

მომხმარებელი, რომელიც wasteless საკუთარი სურვილით მიაწოდებს პერსონალური ხასიათის ინფორმაციას, ის ავტომატურად ანიჭებს უფლებამოსილებას wasteless გამოიყენოს მომხმარებლის პერსონალური მონაცემები შენახვისა და დამუშავების მიზნით.

წინამდებარე კონფიდენციალურობის პოლიტიკა განსაზღვრავს wasteless-ის მომხმარებელთა პერსონალური ხასიათის მონაცემების დამუშავების წესს, მიზნებს, გამოყენებისა და შენახვის პირობებს. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, wasteless -ის მიზანია მომხმარებლის პერსონალური მონაცემების დაცვა.

წინამდებარე დოკუმენტი (კონფიდენციალურობის პოლიტიკა) წარმოადგენს wasteless-ის ვებგვერდით სარგებლობის წესებისა და პირობების განუყოფელ ნაწილს, რომელიც არის ორმხრივი მავალდებულებელი დოკუმენტი.

ტერმინთა განმარტება

წინამდებარე დოკუმენტში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

- wasteless (ბრენდირებული სახელწოდება) - საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებული ა(ა)იპ საქართველოს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ასოციაცია საიდენტიფიკაციო ნომერი: 405430494, რეგისტრირებული: ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი 101.
- www.wasteless.ge - wasteless–ის საკუთრებაში არსებული ელექტრონული პლატფორმა.
- პერსონალური მონაცემი - ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს.
- მონაცემთა დამუშავება - ავტომატური, ნახევრად ავტომატური ან არაავტომატური საშუალებების გამოყენებით მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება.
- მონაცემთა სუბიექტი (შემდგომში – მომხმარებელი) - სამოქალაქო კოდექსით და მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი ან/და იურიდიული პირის მიერ საამისოდ უფლებამოსილი

ნებისმიერი ფიზიკური პირი, ან/და ნებისმიერი იურიდიული ან/და ფიზიკური პირი, რომლის შესახებაც მუშავდება მონაცემები.

- • მომხმარებლის თანხმობა - წინამდებარე დოკუმენტის მომხმარებლის მიერ გაცნობისა და მისი პერსონალური ხასიათის მონაცემების დამუშავების შესახებ გამოხატული ნება.
- • მესამე პირი - ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, საჯარო დაწესებულება.

თანხმობა

,,Wasteless" -ის ვებგვერდით სარგებლობა მიიჩნევა მომხმარებლის მიერ კონფიდენციალურობის პოლიტიკის თაობაზე თანხმობად. შესაბამისად, ,,Wasteless" -ს მომხმარებელი ანიჭებს უფლებას დაამუშაოს, შეინახოს და გამოიყენოს მომხმარებლის მიერ მიწოდებული პერსონალური ხასიათის ინფორმაცია.

აღნიშნული ინფორმაცია ,,Wasteless" -ის მიერ გამოყენებული იქნება საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული შესაბამისი ნაკადს დაქვემდებარებული (ზეთები/ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობა/საბურავები/ბატარეები და აკუმულატორები) ტექნიკური რეგლამენტებით, ,,Wasteless" წესდების და მმართველობის ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად.

მონაცემთა დამუშავების საფუძვლები

,,Wasteless" მომხმარებლის პერსონალურ მონაცემებს დაამუშავებს, თუ:

- არსებობს მომხმარებლის თანხმობა ვებგვერდზე დასარეგისტრირებლად.
- მონაცემთა დამუშავება საჭიროა და აუცილებელია ,,Wasteless"-ის მიერ, მისთვის კანონმდებლობით შიდა სამართლებრივი აქტებით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად.

მომხმარებლის პერსონალური მონაცემების დამუშავების მიზანი

- Wasteless-ის წევრად გახდომა.
- wasteless -სა და მის წევრებს შორის კომუნიკაციის გამარტივება და შესაბამისი დოკუმენტაციის მიმოცვლა.
- Wasteless-ის კანონისმიერი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება;
- მომხმარებლის მიერ ვებგვერდზე გამოვლენილი აქტივობების მონიტორინგი;
- მომხმარებელთან ეფექტური კომუნიკაცია;
- მომხმარებლის მიერ უკუკავშირის დამყარება;
- Wasteless -ის მიერ დანერგილი სიახლეების დატესტვა;
- Wasteless-სა მიერ ვებგვერდზე ნარჩენებისა და მის მართვასთან დაკავშირებით ინფორმაციის გაზიარება;
- მარკეტინგული და სხვა სახის აქტივობების განხორციელება;

- საქართველოს ნარჩენების მართვის კანონმდებლობით განსაზღვრული ვალდებულების შესაბამისად ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსება/მიწოდება;
- Wasteless-ის სისტემის არამართლზომიერი გამოყენების პრევენცია;
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის პრევენცია;
- სახელმწიფო კომპეტენტური ორგანოებისათვის მიწოდება;
- კანონიერი ინტერესების დაცვა;
- Wasteless-ისთვის პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონით მინიჭებული სხვა ლეგიტიმური მიზანი.

მომხმარებლის უფლებამოსილება

მომხმარებელს უფლება აქვს Wasteless-ს მოსთხოვოს მონაცემთა დამუშავების შესახებ შემდეგი ინფორმაცია:

- მომხმარებლის შესახებ რომელი მონაცემები მუშავდება Wasteless"-ის მიერ;
- მონაცემთა დამუშავების მიზანი;
- მონაცემთა დამუშავების სამართლებრივი საფუძველი;
- რა გზით შეგროვდა მონაცემები;
- ვისზე გაიცა მომხმარებლის შესახებ მონაცემები, მონაცემთა გაცემის საფუძველი და მიზანი;

მომხმარებლის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში Wasteless ვალდებულია გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის მოთხოვნათა დარღვევით.

მომხმარებელი უფლებამოსილია პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის შემთხვევაში მიმართოს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს ან სასამართლოს.

მომხმარებელს უფლება აქვს, განაცხადოს უარი მის მიერ Wasteless"-ს მიცემულ თანხმობაზე და მოითხოვოს მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა ან/და დამუშავებული მონაცემების განადგურება, იმ შემთხვევაში, თუკი პირი აღარ წარმოადგენს დამუშავების სუბიექტს.

მომხმარებლის ვალდებულება

მომხმარებელი ვალდებულია Wasteless-ს, მის შესახებ მიაწოდოს ვებ-გვერდზე მოსანიშნ ველებში მოთხოვნილი სრულყოფილი და სწორი ინფორმაცია, რეგისტრაციის, წევრად დარეგისტრირების ან/და შემდგომი კომუნიკაციის გამარტივების მიზნით. აღნიშნული ვალდებულება ასევე ვრცელდება მომხმარებლის მიერ მიწოდებული ინფორმაციის ცვლილებებზე.

Wasteless-ის ვებგვერდის გამოყენების პირობები

მომხმარებლის მიერ Wasteless-ის ვებგვერდის გამოყენებით მომხმარებელი აცხადებს თანხმობას Wasteless-ის მიერ მისი პერსონალური მონაცემებისა და მზა ჩანაწერების (Cookies) შენახვასა და დამუშავებაზე.

მომხმარებელი ვალდებულია Wasteless-ს მიაწოდოს სრული და სწორი ინფორმაცია, ცვლილების შემთხვევაში განაახლოს მის მიერ მიწოდებული ინფორმაცია.

ვის ვუზიარებთ მომხმარებლის მონაცემებს

მომხმარებლის პერსონალური მონაცემების გაზიარება შესაძლებელია საჭირო გახდეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და Wasteless მოქმედი და მარეგულირებელი ნორმებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მათ შორის დანაშაულის დადგენის, გამოძიების ან დანაშაულის აღკვეთის მიზნით.

ლოგ ფაილები და cookies

Wasteless-ი სარგებლობს ლოგ ფაილების სტანდარტული პროცედურით. სხვა ვებგვერდების მსგავსად, Wasteless-ი იყენებს Cookies. ლოგ ფაილები და Cookies გამოიყენება იმისთვის რომ ვებგვერდმა შეინახოს ინფორმაცია მომხმარებლების ქცევის შესახებ და გააუმჯობესოს მომსახურების ხარისხი.

ამ ინფორმაციით არ ხდება კონკრეტული მომხმარებლის იდენტიფიცირება და წარმოადგენს ანალიტიკურ მონაცემებს.

ამგვარი ინფორმაციის დამუშავების მიზანია

- Wasteless-მა მართოს ვებგვერდი.
- აწარმოოს სტატისტიკა.
- ეფექტური მარკეტინგული აქტივობების შესამუშავებლად და განსახორციელებლად.
- რჩევებისა და რეკომენდაციების მისაცემად.

ვებგვერდის გამოყენების დაწყებისას მომხმარებელს აქვს საშუალება დაეთანხმოთ cookies, არსებობის შემთხვევაში, თუ მომხმარებელი არ დააჭერს შესაბამის ღილაკს და შეტყობინების მიუხედავად გააგრძელებს ვებგვერდით სარგებლობას, ამგვარი ქმედება ჩაითვლება მომხმარებლის მიერ თანხმობად.

Cookie-ს პარამეტრების ცვლილება შესაძლებელია ბრაუზერის პარამეტრების შეცვლით.

მონაცემების მიღება

Wasteless-ი ინფორმაციას იღებს შემდეგი წყაროებიდან:

- როდესაც მომხმარებელი ავსებს ვებგვერდის სარეგისტრაციო ფორმას და რეგისტრირდება მომხმარებლად და ხდება wasteless-ის წევრი, ნარჩენების მართვის კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი ნარჩენის (სპეციფიკური ნარჩენი) ნაკადის მიმართულებაზე (ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობა/საბურავი/ზეთი/ბატარეები და აკუმულატორები).
- როდესაც კომუნიკაცია ხდება ტელეფონის ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით
- როდესაც მომხმარებელი იყენებს Wasteless-ის ვებგვერდს და ჩატს

რა სახის მონაცემები მუშავდება

ვებგვერდზე რეგისტრაციისას, წევრად გახდომისას ან/და სხვა კომუნიკაციის განხორციელებისას ვებგვერდის მეშვეობით, მომხმარებელი უთითებს შესაბამისი ველების მეშვეობით, შემდეგ ძირითადად ინფორმაციას:

- მობილურის ნომერი;
- ელექტრონული ფოსტა;
- მისამართი;
- კომპანიის დასახელება;
- კომპანიის ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი/მინდობილი პირი ან/და სხვა იურიდიული და ფიზიკური პირის მონაცემები:
    - სახელი/გვარი/პირადი ნომერი

რეგისტრაციისთვის და წევრად გახდომისთვის/ ავტორიზაციისათვის აუცილებელია აღნიშნული ინფორმაციის მითითება და შესაბამისი ველის/ველების შევსება, რომლის გარეშე მომხმარებელი ვერ განახორციელებს ვებგვერდზე რეგისტრაციას, წევრად გახდომას, ავტორიზაცია ან/და სხვა კომუნიკაციის განხორციელებისას ვებგვერდის მეშვეობით

კონფიდენციალური მონაცემების შენახვის ვადა

Wasteless პასუხისმგებლობას იღებს მომხმარებლის პერსონალური მონაცემების საიდუმლოებასა და უსაფრთხოებაზე.

მომხმარებლის შესახებ კონფიდენციალურ ინფორმაციას Wasteless ინახავს კანონმდებლობით და წინამდებარე პოლიტიკით გათვალისწინებული მიზნის მიღწევისათვის საჭირო ვადით.

უსაფრთხოება

Wasteless-ისთვის მნიშვნელოვანია მომხმარებლის მიერ მიწოდებული კონფიდენციალური ხასიათის ინფორმაციის დაცვა. მომხმარებლის პირადი პროფილი ხელმისაწვდომია მხოლოდ მის მიერ შერჩეული მომხმარებლის სახელისა და ფასვორდის საშუალებით. Wasteless გთხოვთ, აღნიშნული ინფორმაცია არ გაანდოთ მესამე პირებს. წინააღმდეგ შემთხვევაში Wasteless იხსნის სრულ პასუხისმგებლობას.

Wasteless მიმართავს ყველა ზომას მომხმარებლის კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის მიზნით, თუმცა არ იღებს პასუხისმგებლობას და არ იძლევა გარანტიას მესამე პირების ქმედებებზე, რომლებიც ახორციელებენ კანონსაწინააღმდეგო შეღწევას Wasteless-ის სერვერებზე

მესამე მხარე

Wasteless იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას სხვა ვებგვერდებთან მიმართებით, რომლებიც შესაძლებელია გარე ბმულის სახით განთავსებული იყოს Wasteless-ის ვებგვერდზე. სხვა ვებგვერდის კონფიდენციალურობის პოლიტიკა შესაძლოა განსხვავდებოდეს წინამდებარე პოლიტიკისგან. შესაბამისად, Wasteless მოგიწოდებთ გაეცნოთ გარე ბმულის სახით მითითებული ვებგვერდის გამოყენების პირობებსა და კონფიდენციალურობის პოლიტიკას.

ცვლილებები და დამატებები

შესაძლებელია წინამდებარე დოკუმენტში განხორციელდეს ცვლილებები და დამატებები. ცვლილებების ან დამატებების შეტანის შემთხვევაში მომხმარებელი მიიღებს პირად შეტყობინებას ან გამოქვეყნდება ვებგვერდზე.

ცვლილებები და დამატებები ძალაში შედის Wasteless-ის მიერ მომხმარებლისათვის პირადი შეტყობინების გაგზავნის ან ვებგვერდზე გამოქვეყნების შემდეგ. ცვლილებებისა და დამატებების ძალაში შესვლის შემდგომ, მომხმარებლის მიერ ვებგვერდით სარგებლობა განხილული იქნება როგორც შეცვლილ პირობებზე თანხმობა.

Wasteless--თან დაკავშირება

კონფიდენციალურობის პოლიტიკასთან დაკავშირებული კითხვებისა და დამატებითი ინფორმაციის მიღების მიზნით დაგვიკავშირდით **info@wasteless.ge**